1912 ნაპალდუღლი

ბავშვთა წიგნი

მცირე წლოვანთათვის

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
№ 16

1879

ნაკადული

წელიწადი მე-VIII. № 16 აგვისტო, 1912 წ.

1879



ფფარველი ანგელოზი

შინაარსი:

I—მფარველი ანგელოზი, —სურ. . . . 1

II – სიმინდის ყანა, —ლექსი ი. სიხარულიძისა . . 3

III—ეი ჯარავ, ჯარავო?—ი. ევდოშვილის . . . 5

IV—ბელურა,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა . . . 11

V – ტყემ შური იძია, —(დასასრული) თარგმ. ი. ანთაძისა. 12

VI—ცერო,—სალხური ზღაპარი ლექსად, ა. შანშიაშვილისა. 18

VII—კართოფილი,—ეკ. ლორთქიფანიძისა . . . 21

VIII—გასართობი: გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, რებუსი და აღსნა 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34.



სიმინდის ყანა.

(უძღვნი „ნაკადულის“ მკითხველებს).

სიმინდის ყანამ ფოჩი გაშალა,
გადაიგრიხა წითლად ულვაში;
სიოს ქროლვაზე ზვირთი აშალა,
დაიწყო სრბოლა, ვით ტალღამ
ზღვაში.

ხან ზე აზიდა ზურმუხტი მკერდი,
ხან ნაზი რხევით ძირს მოიხარა;
ფოთოლი სტეორცნა უცბად თვის
ეკვავილს,
ეკითელი მტვერი თავს დაიყარა!

ზეცას აბბორში ნაბი მოსთხოვა,
ცისკრის ღიმილში მოკრიფა სხივი,
და ოქროს ძაფი მკერდს დაიქსოვა,
ყელს დაიბნია ბროლისა ძმივი.

მითხარი, ყანავ, სით რად გარხევს,
ზეცის ამბორი ნამს რატომ გიძღვნის?!
ცისკარი კულულს თავს რატომ გახვევს?!
ბუნება ტროფობით მკერდს რად გიფურჩქნის?..

—

მითხრა: „ბუნება მუშის საზრდოდ მზრდის,
ნაყოფს მოვიღებ ზეცით კურთხეულს;
მუშა მე მივლის, ცხელი ოფლი სდის,
მე მას ვახარებ, დატანჯულს, ეულს.

ი. სიხარულიძე.



უი, ჯარავ, ჯარაო!

ი აქ, სწორედ აქ დავაწვე, როცა ვწვებოდი. ზევიდან ჩოხა-ახალუხი და შარვალი იდვა, ქვემ-კი წინდები. რომელმა მიწის მგელმა შეჭამა—ვერა გამიგია-რა.

—ჩემი ქუდიც შენს ქუდში ჩავდე; მე კარგად მახსოვს, რომ შენს ქუდში ჩავდე!

ამ ლაპარაკით დადიოდნენ და ეძებდნენ ოთახში ერთ დილით პაპა თედო და მისი შვილის-შვილი ჩარგია წინდას და ქუდს.

პაპა თედომ დაკარგა ცალი წინდა, ჩარგიამ-კი ქუდი.

მართლაც და საკვირველი იყო: როცა წვებოდნენ, ყველაფერი თავით დაილაგებს; გამოიღვიძებს, და აღარსად არი ცალი წინდა,—აღარსად იყო ქუდი ჩარგიასი!

გადააბრუნეს მთელი ოთახი. სად არ შეიხედეს: ტახტის ქვეშ, წალოში, აწეწ-დაწეწეს ბებიას გიდელა-კალა „ები, ფქვილის გოდორშიაც-კი ჩაიხედეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიაგნეს მათ კვალს.

„მიაუუ, მიაუუ“... დასდევდათ მაძებართ კატა და თითქოს თანაუგრძნობს მათ დარდსო, საბრალო ხმაზე კნაოდა.

—ეს რაღას ამეკა ეს ტიალი! — ბუზღუნებდა ძებნაში

წელ-წასრილი ბაბა ისეთი კილოთი, თითქოს კატა ეოფილიეოს დამნაშავე მის წინდის დაკარგვაში.

— შენ სულ მაგრე იცი: გათენდება თუ არა დილა—შეუდგები ხან ქუდის ძებნას, ხან ქამრისას, ხან წინდებისას; ესეც, ეს ბიჭიც რომ სწორედ შენ დაგემზგავსა! რამ წაგართვათ გულის ეური, არ ვიცი? დაემზადებით თუ არა დასაწოლად, ჩემი სიტეეა სულ ის არი, რომ ეველაფერი თავის ადგილას დადეთ მეთქი, მაგრამ მე თქვენ ვერ გაგაგებინეთ!

უჯავრდებოდა ბებია და მათთან ერთად ისიც დაეძებდა დანაკარგს.

— ადამიანო, გაიგონე და შეისმინე, რომ ეველაფერი თავის ადგილას დადე: ჯერ ჩახსაკრავები, მერე ჩექმები, ჩექმებზე წინდები, წინდებზე ჩოხა, ჩოხაზე ახალუხი, ახალუხზე ჩიბუხი, ჩიბუხზე ქუდი...

— შენ ქუდში-კი ჩემი ქუდი!—დაუმატა ჩარგიამ ბაბას ჩამოეოლებას.

— მერე რა იქნა, ქა, თუ ეველაფერი თავის ადგილას ეწეო? ცალმა წინდამ და ჩარგიას ქუდმა ხომ ფეხი არ აიდგეს, რომ წასულიეენ სადმე. ეეეეჩები ხართ ორივენი, ეეეეჩები, და ეგ არი!—გაკაბასდა ახლა-კი ბებია.

— აჭა, ღმერთო ჩემო, მეც ეგ არ მაკვირვებს? აი, აჭა, ეველაფერი ჩავიცვი: ჩოხა, ახალუხი, შარვალი, ცალი წინდა და წაღები, ქუდიც დავიხურე, ცალი წინდა-კი არსადა სჩანს. იქნება კატამ გაათრია სადმე? აფსა, შე ვერანო, შენა!—შეუტია ბაბამ კატას, რომელიც მას ტიტველა ფეხზე კრუტუნით ეხეხებოდა და ამოჭერა ფეხი.

— აი, გეთაეეა: ახლა სულ კატას გადააბრალებს! მერე როკორი წენარი კატაა: თაგვი რომ წინ უთამაშებდეს, იმასაც-კი არას უშავებს და რაღა შენ წინდაზე დაილესა კბილები!

— ღმერთმანი, ბები, ჩემი ქუდიც ბაბას ქუდში ჩავდე! — არწმუნებდა ჩარგიაც ბებიას.

— ბაბას ქუდში ჩავდე, ბაბას ქუდში ჩავდე! მერე რომ ჩასდე, რა იქნა? იქნება შენს მაგივრად შენი ქუდი შეიბარა ბოსტანში ვაშლის საჭმელად?! — შეუტია ბებიამ და ამით წარსული დანაშაულიც მოაგონა ჩარგიას.

— ვაი, წელი, წელი, ოო, წელი მეტკინა იმის მებნაში, აგრეთც ღმერთი გაატიალებს! — ამოიოხრა ბაბამ, ჩამოჯდა დაღლილ-დაქანცული ტახტზე და მიაშტერდა ტიტველა ფეხს, თითქოს თითებს ითვლიდა, — ისინიც ხომ არსად დამეკარგნენო.

— სწორედ რომ ფეხი აიდგა ცალმა წინდამ, სწორედ, მე და ჩემმა ღმერთმა... — დუდუნებდა თავისთვის ბაბა თედო.

— ადამიანო, აბა ერთი ინახე: ორივე წინდა ხომ ერთ ფეხზე არ ჩაიცვი? — შეეკითხა ბებია, რომელსაც ცოტა არ იყოს შეებრალა ბაბას აკვნესებული წელი.

— ეეე, რას ამბობ შენცა, თუ ღმერთი გწამს? ეგ რადა მოსაგონი იყო: ორ წინდას ერთ ფეხზე როგორ ჩავიცვამდი!

— ინახე, ქა, ინახე; ნახვისთვის ხომ ღმერთი არ გაგიწურებია!

— მასხარად მიგდებ, თუ რა არი! შეუტია ნაწყენმა ბაბამ და ბებიას ზურგი შეაქცია.

— ადამიანო, იმისთვის ხომ არ გითხარ, რომ გწყენოდა? ინახე მეთქი! დიდი საქმე ხომ არ არი, წასვლა ხომ არსად დაგჭირდება, შორს ხომ არ არის შენი ფეხი შენგან?

— აჭა, ჭა, აჭა, აბა ნახე! შეუტია კიდევ ბაბამ და გაჯავრებულმა გაუწოდა ფეხი ბებიას.

ბებია დაიხარა, წააძრო ცალი წინდა ცალ ფეხზე ბაბას, და ჭოი საკვირველებავ! — წინდის ქვეშ აღმოჩნდა მეორე დაკარგული წინდა: ბაბას ორივე წინდა მართლაც ერთს ფეხზე ჩაეცვა.

— ეეე, ეს შეჩვენებული, როგორ ჩამცმია, რომ ვერ გა-ვიგე, როგორ ჩამცმია... იმეორებდა გაწბილებული თედო ბა-ბა და, მართალია, თუმცა ისე არ ხათხათებდა და იცინოდა, როგორც ბებია და ჩარგია, მაგრამ მაინც სიამოვნებით იღი-მებოდა და სიყვარულით დასცქეროდა ნაბოვნ წინდას.

— ჩემი ქუდიც ვიპოვე, ჩემი ქუდიც ვიპოვე! — დაიძახა ჩარგიამ და გაექანა ტახტზე მეოთე ბაბასაკენ.

— რას შვრები, შე სამაგელო, შენა? — ვერ-კი მოასწრო ბაბამ სიტყვის დათავება და ჩარგიამ ასტაცა ბაბას თავიდამ მისი წოპწოპა ბუხრის ქუდი, გადააბრუნა ხელში და მართ-ლაც იპოვა თავისი დანაკარგიც.

მისი ბატარა, თუშური ნაბდის ქუდი ბაბას ღრმა, წოპ-წოპა ქუდის ძირში ჩანასკულიყო.

— ეს, ეს, ეს, რა მომსვლია, ჰა, თქვენი ჭირიმე: ამოტ-ელა კაცი გავიზარდე და ჩემს დღეში ორი ქუდი არა მხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებია; ეს რა დამმართებია, ჭა! არა, შენ რიდასთვის სდებდი ჩემს ქუდში შენ ქუდს, ჭა?—შეუტია თავის გასამართლებლად ბაბამ ჩარგიას.

—ქუდი თუ მაგან ჩადვა, წინდაც ხომ მაგან არ ჩაგაცვა, ჭა?—შეეკითხა ბებია დაცინვით.

—წინდა... წინდა... დასწეევლოს ღმერთმა: რა ვიცი, მეც არ ვიცი, როგორ ჩამცმია...

—ჩამცმია! თითქოს წინდები მივიდნენ და თვითონ ჩაეცვნენ!

—მერე რა მოხდა, ჭა: ხომ არ დამკარგვია, ადამიანო! ფეხზე ჩამიცვამს და სხვა არაფერი, ფეხზე! შენ-კი სულ იმას გვიმახოდი: დაჭკარგე, გადააგდე, ეეეეჩები სართო!—უპასუხა ბაბამ, ვითომც ამით სიტყვა მოუჭრა ბებიას.

ჩარგია-კი ტახტზე გადაკოტრიალებული იცინოდა და თან სიცილისაგან თვალზე მომდგარ ცრემლებს იწმენდდა.

—როგორ, არცა-კი კისრულობს თავის დანაშაულს?!.—გაიკვირვა ბებიამ,—გამოტედი, ადამიანო, რომ დამნაშავე ხარ, დამნაშავეეე!!.

—მერე რა გსურს, რო დამნაშავე ვარ; ვსთქვათ—დამნაშავე ვარ; მერე?

—მერე ის, რომ შენცა და ჩარგიაც უნდა დაისაჯნეთ!

—მე რადად, ბები, მე რიდასთვის უნდა დავისაჯო? მე ხომ არ დამიკარგავს ქუდი! ბაბას ბრალია, ბაბასი!—გამოესარჩლა თავის თავს ჩარგია.

—ცუდი შემნახავი დამკარგავზე უარესია! ბაბას ქუდი შენი კიდობანი ხომ არ იყო, რომ შიგა სდებდი შენს ქუდს!

რადა ეთქმებოდა ბაბა თედოს, რადა ეთქმებოდა ჩარგიას, მართლაც და წინდები თავისთავად ხომ არ მიეპარებოდნენ ბაბას ფეხს, ან და ბაბას წოპწოპა ქუდი ჩარგიას კიდობანი ხომ არ იყო!

დამნაშავეებმა თავი დაჭიდეს, თითქოს ბოდიშს იხდიდნენ ბებიას წინაშე, მაგრამ ულმობელი ბებია, მათ წინ ორივე ხელით დოინჯ-შემოერილი, უკვე შეუდგა განაჩენის გამოცხადებას.

— შენ,—მიუბრუნდა ბაბა თედოს, — დამნაშავე ხარ იმაში, რომ მთელი ოჯახი დილა ადრიანად ააფორიაქე, სახლი ააქოთე შენი წინდას ძებნაში. დამნაშავე ხარ იმაში, რომ ორ წინდას იცვამ ერთ ფეხზე, როდესაც თითო ფეხს თითო წინდის მეტი არ ერგება; დამნაშავე ხარ იმაში, რომ ჩემ ბატიონსან ციცოს (ამას თაგვებიც დაამტკიცებენ) წისლი ჭკარი და მით ტკივილთან ერთად შეურაცხყოფაც მიაყენე, ვითომც მას მოეპაროს ძენი წინდა. დამნაშავე ხარ აგრედვე იმაში, რომ არ სჯერდები შენს ისედაც უხარ-მაზარ წოპწოპა ქუდს და იხურავ თავზე მეორე ქუდს, ქუდს, რომელიც ეკუთვნის ჩარგიას და არა იმის ბაბა თედოს. აი თავიდამ ბოლომდე შენი დანაშაული!

— ხოლო შენ, —მიუბრუნდა ბებია ახლა ჩარგიას,—დამნაშავე ხარ იმაში, რომ დაჭარგე ქუდი, რომელიც ბებიამ გიყიდა, ჩასდე ის ბაბას ქუდში, როდესაც ბაბას ქუდი არც შენი კიდობანია, არც შენი თახჩა. დამნაშავე ხარ იმაში, რომ არ იცი მოვლა შენი ტანისამოსისა; დამნაშავე ხარ იმაში, რომ ეოველ დილა, შენს ბაბასთან ერთად, ერთ აურ-ზაურს ასტეხთ ხოლმე. აი თავი და ბოლო ჩარგიას დანაშაულისა!

ი. ევდოშვილი.

(დასასრული იქნება).



ბ ე ღ უ რ ა.

(იგავი).

ინდვრიდან მოფრენილმა ბეღურამ გლეხს ახარა:

— მოლხენა გმართებს: სოფლის ბოლოს აუარებელი ყანები ენახე ერთი მეორეზე უკეთესი. თუ ბეღლის კედლები განზე არ გასწიე, მომკილ-გალეწილი გარედ, ცის ქვეშ, დაგრჩება და ნაშრომი წაგისდებაო.

— მართალია,—მიუგო გლეხმა ბეღურას,—მოსავალს კაი ჰირი უჩანს, მაგრამ, რა გამოვიდა, ეს წყეული ჩიტებიც წელს მეტად გამრავლდნენო.

ალ. მირიანაშვილი.





ტყემ შური იძია.

(დასასრული).

თავზე თითქოს მშვიდობიანობა დამყარდა და მოხუც ბაბას არც ერთი ტყის სული აღარ აწუხებდა. მაგრამ აი ამოძრავდა გამხდარ, საცოდავ ქმნილებათა რაზმები: ეგვლანი ბრძენ ბაბასთან მოდიოდნენ. ესენი ბალახთა და ყვავილთა სულები იყვნენ. მოვიდნენ წელის წვეთებზე საჩივლელად, რომლებიც მთიდან მოგორავდნენ და თან მოჰქონდათ მიწის ნაწილები, რომელიც მათი სიტკვით ისე უყვარდათ და საჭირო იყო იმათთვის.

— როდესაც ჩვენი ფესვები სალი კლდის მეტს საჭმელად ვერაფერს იპოვის, მაშინ როგორ-ღა უნდა ვიცოცხლოთ?

მთის ბაბას ადამიანებზე არაფერი უფლება არ ჰქონდა,

მაგრამ მთის წვეთები-კი მას ემორჩილებოდნენ, ამიტომ ბალახის სულების ჩივილს მეტი ეურადღება მიაქცია, ვიდრე ხეების სას. მან სთხოვა მზეს ერთი სხივი გამოქვაბულის შესავალზე დაკიდულ ეინულის სხეპლისთვის დაეცხუნებინა. სხეპლიდან ჩამოვარდა რგვალი, ბატარა, აფერადებული წვეთი, მეფის ფეხებთან მიგორდა და გაჩერდა.

— აბა ანგარიში გამიწიე შენი და შენი მეგობრების მოქმედების გამო,—მკაცრად უთხრა მოხუცმა ბაბამ.

— აჰა, რა მოიგონა,—უხრდელად უპასუხა რგვალმა, ბატარა ქმნილებამ:—იქნება ფიქრობდეთ, რომ ჩვენ ჩვენდა სასიამოვნოდ მიეათრევთ შავ ჭუჭეიან მიწას, რომელიც მჭვირვალე კაბას გვისვრის. ვაი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეგვიძლია. ჩვენ მივრბივართ და მიწაც ჩვენთან მირბის, რადგანაც აღარაა ხის ძირები, რომ დაიმაგროს. ეველა ეს ხეების ბრალია.

— არა, ადამიანების ბრალია, რომლებმაც მოსჭრეს ეს ხეები და არა ხეებისა!—დაიეკვირეს ხმაურობაზე შეგროვილმა ბატარა მწვანე კაცუნებმა.—შურის-ძიება მათ, შურის-ძიება!

— შურის-ძიება, შურის-ძიება!—წრიპინებდნენ აგრედვე ბალახთა სულები.

მთის მეფემ დაინახა, რომ ბალახთა შვილაც მის ხელთ არაა, და სთქვა:

— მოთმინება!

როგორც მოსალოდნელი იყო, მიწა უფრო და უფრო ეცლებოდა კლდეს და ბალახი ისეთი იშვიათი გახდა, რომ ძრონსებიც-კი ვერაფერს ჰოულობდნენ.

— ჩვენდა ბედად,—ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს,—ბარის მინდვრები საბალახოებით სავსეა; აი იქ კი ვიქეიფებთ!

მაგრამ, რომ სცოდნოდათ რას ეუბნებოდა მთის ბაბას გძელ-თმიანი და გძელ თეთრ სამოსელში გამოწეობილი ქმნი-

ლება, მაშინვე მშვენიერ და ნოეიერ საბალახოებზე ოცნებას თავს დაანებებდნენ.

აი რას ამბობდა ეს ქმნილება თავისი ერთფეროვანი, წყაროს რაკრაკის მზგავსი წვრილი ხმით:

— მთის მეფეე, მე ერთი იმ ფერიათაგანი ვარ, რომელთაც შენ წყაროების ზედამზედველობა მიანდე; მე იმ კარებთან ვდგევარ, საიდანაც მიწიდან ამომავალი წვეთები გამოდიან და ამოსვლისთანავე ჩემგან დარიგებას ისმენენ; მე ვასწავლი იმათ, რა გზით უნდა იარონ, ვეუბნები, რომელ წვეთებს უნდა შეუერთდნენ, რათა ჯარი შეადგინონ,—ვარიგებ იმ საქმეზეს შესახებ, რომელიც უნდა შეასრულონ: წეურვილი მოუკლან მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანებს; აბრუნონ წისქვილების თვლები, აამოძრაონ ელექტრონის მანქანები და სხვ.

აქამდის ისინი ეურს მიგდებდნენ და ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ვამჩნევ, რომ ჩემი წვეთები ისე მრავლად, როგორც წინად, აღარ გამოდიან თავის ბნელ ოთახებიდან; ყოველ დღე ჩემ მახილზე რამდენიმე წვეთი აღარ გამოდის, აკლდება; რას ნიშნავს ეს? მთის ჰაჰაე, ხომ შეუძლებელია ასე დარჩეს დიდხანს?!.

მთის ჰაჰამ მაშინვე წვეთს დაუძახა.

მოვიდა სწორედ ის, რომელიც ბალახებს უჰასუხებდა.

ის უკვე წყაროს ლეჩაქში გახვეულიყო და ჰირველზე უფრო უზრდელად ლაპარაკობდა.

— აჭა, ნამდვილი უსამართლობა!—შეჭეერა მან,—რას ჩაგვაცივდით? ჩვენ ვსცდილობთ ჰირნათლად შეეასრულოთ ჩვენი, ჰატარა წვეთების, საქმე.—რასაკვირველია ყოველი ჩვენგანი ოცნებობს, როცა დედამიწას შეეხება, გამხმარ ფოთლებ ქვეშ შეძვრეს, და როცა მიწაში ჩავა—იმდენ ხანს იარონ ბნელი, გრძელი გზით, მანამ დიდ გამოქვაბულს მიაღწევდეს, სადაც მთელი მთის წვეთები გროვდება თავთავის რიგად. იქიდან

გამოვდივართ მხოლოდ მაშინ, როცა დავინახავთ, რომ გამ-
შრალი დედამიწისათვის საჭირონი ვართ. ვისი ბრალია, რომ
ახლა გამოქვაბულის გზის ჰოვნა ჩვენთვის თითქმის შეუძლე-
ბელი გახდა.—ვისი ბრალია, რომ ფოთლებისა, ხავსისა და
მიწის მაგივრად, სადაც დამალვა შეიძლებოდა, ჩვენ ახლა მხო-
ლოდ ფრიალო კლდეს ვხედავთ?—ვისი ბრალია, რომ ამ
სალ და ფრიალო კლდეზე ჩვენ საოცარი სისწრაფით მთის ძი-
რამდე მივსრიალებთ?—ვისი ბრალია, რომ წელისაგან იც-
ლება გამოქვაბულები და შრება წყაროები? ყველა ეს ხეების
ბრალია, რომელნიც ვალდებულნი არიან თავისი ფესვებით
მიწა გაარჩერონ; მაგრამ ეს მათ არ შეასრულეს.

— ყველა ეს ადამიანების ბრალია!—შეჰყვირეს ხეების
სულებმა,—მათ მოჰკლეს ხეები! თუ შრება წყაროები, თუ კვდე-
ბა მცენარეები, თუ ადამიანები იტანჯებიან, მით უკეთესი!—
სამაგიერო გადახდათ!

— ოჰ,—ტირილით სთქვა თეთრმა ქმნილებამ:—იმათ არა-
ფერი ესმოდათ; შეიბრალეთ ისინი!

მთის ბაბამ, რომელიც ამ დროს განმავლობაში კიდევ უფ-
რო მოხუცდა, მაგრამ ისეთივე მშვიდი იყო, როგორც წინად,
ნელი, მშვიდი ხმით უპასუხა ხის და ბალახის სულებს:

—მიხვდით თუ არა ახლა, რომ საჭირო არ იყო თქვენი
გულისათვის შურის ძიება? რაც იმათ ჩაიდინეს, მათვე თავს
დაატყდათ.

წყაროს სულს-კი უთხრა:

— მე არაფერით არ შემიძლია უშველო ადამიანებს, რად-
გან არ ძალმიძს ხელ-ახლა შევქმნა ის, რაც იმათ მოსპეს...

მაშინ ყველანი დაიშალნენ. არავის სიტყვაც არ უთქვამს.
რაც იწინასწარმეტყველა წელის წვეთმა — შესრულდა. მთაზე
თან-და-თან წყალი გამოიღლია და ერთ ძალიან ცხელ ზაფ-
ხულს წყაროებმა შესწყვიტეს კენჭებზე მსიარულად რაკრაკი,

ლაქვარდოვანი ცის გამოსახვა და ცხოველთა და ადამიანთა-თვის წელის სმევა. ბარის ველ-მინდვრები გახმა და მწუემსი ჰეტრე მწარედ სტიროდა, როცა დაინახა, რომ საქონელი შეცვიროდა და დანარჩენი-კი დღითი-დღე მჭლევდებოდა.

რაც შეეხება ვასილს, ის ბევრს არ დარდობდა. ფული ბევრი შეიძინა, უზრუნველ-ყოფილი იყო და ახალ სახლში ბედნიერად გრძნობდა თავს.

მაგრამ დაუგდეთ ყური, რა მოხდა შემდეგ.

ერთხელ,—ეს გაზაფხულის დასაწყისში მოხდა,—მზემ ისე უცრად დაადნო თოვლი მთის მწვერვალზე, რომ მთელი ფერდობი უცებ დაჭყარა უთვალავმა წელის წვეთებმა. საშინელი სისწრაფით მიგორავდნენ სალ, ფრიალო კლდეზე, აყენებდნენ რუებს და ერთდებოდნენ ნიაღვრად; ეველანი მიექანებოდნენ ქვევით გიქებივით, გზაში ქვებზე სხლტებოდნენ, ათას წვეთად იფრქვეოდნენ და ღვართქაფად გადაქცეულნი ხმაურობით ეჯახებოდნენ მთის ფერდობზე აქ-იქ შერჩენილ ხეებს, სთხრიდნენ მიწაში მსუბუქად ჩამჯდარ ფესვებს და ტოტების მტვრევით მიაქანებდნენ.

ღვართქაფად შეერთებული წვეთები მიჭქროდნენ. ისინი კი არ რაკრაკებდნენ, არამედ ღრიალებდნენ, და მათ ღრიალში ისმოდა:—შურის ძიება ადამიანებს, შურის ძიება ადამიანებს!

გაცოფებულნი ეტაკნენ სახლებს.

დაინგრა ხის შენობები...

წვეთებმა ეველაფერი მოსპეს: ნათესი, საქონელი, გლეხების ქონება... თავზარ-დაცემული ადამიანები გარბოდნენ. წეალი როგორც მდევარი მისდევდა.—ბედად არავინ დაიღრჩო, მაგრამ ჰეტრემ დაჭკარგა ძროხები და ვასილმა, თუმცა ბევრი ემება სახლის ნანგრევებში თავისი ფული, მაგრამ ვერ იპოვა.

ეს ტეის საშინელი შურის ძიება იყო.

თუ ჩემი მოთხრობა სარწმუნო არაა, წადით მთიან ალაგებში, სადაც მცხოვრებლებმა ტუე უკვე გაკაფეს და თქვენ იქ ნახავთ გამხმარ საბალახოებს; ქვიან ადგილებზე საცოდავად ებღაუჭებიან მიწას დამახინჯებული ხეები. ასეთ ადგილებში გაშენებული სოფლები ხშირად განიცდიან წყლის მოვარდნას, მეწყერს და თოვლისა და კლდეთა ჩამოწოლას. ასეთი სოფლების მცხოვრებთ მამა-პაპისაგან გაუგონიათ, რომ ეოველთვის ასე არ ეოფილა, რომ დიდი, დიდი ხნის წინად მთებს ამშვენებდა ხშირი ტუე, რომ მთებიდან მშვენიერი ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ და ნოეიერ საბალახოებს რწყავდნენ.

მოსაწყენი შეიქნა ასეთ ალაგებში ცხოვრება.

მთის პაპა თავის გამოქვაბულიდან გადასახლდა: მარტობა არ უყვარს, მხიარული მხეცები-კი, რომლებიც მასთან დროს ატარებდნენ, ტუესთან ერთად გაჰქრნენ. გარშემო სევდიანი საჩუმე სუფევს, აღარ ისმის მზის შუქით გამხიარულებული ხეებისა და ბალახთა სულების საუბარი, აღარც ციყვები დასცინიან მოუსვენარ კოდალას, რომელიც ეოველთვის ხეს უკაკუნებს: ტუკ, ტუკ, ტუკ! ნება მიბოძეთ შემოვიდეო!

ეს ტეის შურის ძიება იეო: ტუემ თავის მოსპობისათვის ადამიანზე შური იმია.

ი. ანთაძე.

♣ ♣ ♣

ცერო.

(ხალხური ზღაპარი.)

ოჯალად სცხოვრობდა ერთი კეთილი,
მის ცოლს ეყოლა ცხრა ვაჟი-შვილი.
დრო გადიოდა, არ იზრდებოდნენ,
მუდამ ერთმანეთს ეხუბებოდნენ.
ერთს მათგანს, მცირეს და სულ პატარას,
ყველაზე ეშმაკს და მოუსვენარს,
ძმები მეტ სახელს ეძახდნენ ცეროს.
კურკასა ჭვანდა:
სიარულის დროს
სულ არა სხანდა,
და რომ ენახა მნახველსა უცხოს,
განცვიფრდებოდა,
გაჭკვირდებოდა.

მამა წავიდა შორს სამუშაოდ.
ცოლს უთხრა: უნდა მოვხნა ველიო.
ცეროს კი ჩემთან გამოატანე
ერთი დღის საგზალ-საკვებელიო.

ცოლმა მოზილა ცომი რიყრაქუ,
თონეშიც ცეცხლი აანრიალა;
თონე გახურდა. ვარცლი მოიდგა
და ხელშიც გუნდა შეატრიალა.

არ უსვენებდნენ ვაჟი-შვილები:
ჭირვეულებდნენ, იკრეძლებოდნენ;
„დედავ, დაგვიკარ ჩქარა კვერიო,“—
ყველანი ერთხმად ეხვეწებოდნენ.

ერთი თონესა ზედ ახტებოდა,
მეორე კაბას ეჭიდებოდა;
მესამე ფქვილსა ანიავებდა,
მეოთხე ფეხში ეჩხირებოდა.

ბოლოს განრისხდა დედა სასტიკად
და წამოაგლო იქვე ფიჩხს ხელი;
მოუსვა ყველას, ერთად მოხვეტა,
საბრალოთ თონე უჩვენა ცხელი.
ყველა გაჭეარა. მხოლოდ ცერო კი
თურმე ფიჩხს მაგრა ზედ მიჭკრობოდა;
როს დედა მორჩა ჰურის ცხობასა,
იმაზე სწუხდა და ღონდებოდა:
მინდორში საგძალს ვინ წაიღებდა.
დაჯდა და მოთქმით იწყო ტირილი.
სწუხდა და გული არ უსვენებდა.

ხმა შემოესმა ამ დროს ფიჩხიდან:
„მე გამატაო ყველა საგძალი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას იამა, დაკოცნა ცერო
და ჯილდოდ მისცა ხილი მრავალი!
დედამ შეკაზმა საჩქაროდ ვირი,
ცეროს ხელთ მისცა ჰაწაწა წკირი.
ცოტა გზა განვლო და ვეღარ შესძლო,
დაღლილმა ტანჯვით ამოიქშინა;
შემდეგ იხერხა: აცოცდა ვირზე
და მის გრძელ ეურში იპოვა ბინა.
მიდის გზა და გზა—თან მიიმღერის.
ის ეველას ჭხედავს, მას ვერ ამჩნევენ.
გზაზე ქურდები შემოხვდებიან,
საგმლის მოპარვას განიზრახავენ.

ა. შანშაშვილი.

(დასასრული იქნება).



კართოფილი.



ამამ ლევანს რკინის ნიჩაბი და ფოცხი აჩუქა. გაზაფხულზე ლევანმა ეზოში მოთოხნა პატარა კვალი და შიგ სამიოდე კართოფილი ჩაფლა. მერე აიღო სარწეული და მორწეო ეს კვალი. ყოველ დღე დადიოდა ლევანი თავის კვალის სანახავად, ხომ არ გაზდილა კართოფილიო; მაგრამ ის სულ არ იზრდებოდა. შეწუხდა ლოდინით. ფრთხილად გაქექა თითებით მიწა, რომ ენახა — იზრდება თუ არა კართოფილი. სედავს: კართოფილს გაუკეთებია თეთრი ყლორტები ფოთლებით და გაუდგამს მიწაში თეთრი ფესვები. გაუხარდა ლევანს, სახჭაროდ გადააყარა მიწა და მორწეო მცენარე.

მალე ამოვიდა მიწიდან ფოთლები და ამწვანდა. ლევანი დაჭხაროდა თავის კართოფილს და ყოველ საღამოს რწეავდა. ერთ დღეს ცა მოიღრუბლა, დაიქუხა, იელვა და წამოვიდა წვიმა. ლევანს სეირნობა აღარ შეეძლო. სახლში ჯდომა-კი მოსაწყენი იყო. დედამ ანუგეშა და უთხრა: — წვიმა კარგად მორწეავს შენ კართოფილს, და გაიზრდება დიდი, ძალიან დიდი. ყოველ მცენარეს უყვარს წყალი, — სვამს წყალს თავისი წვრილი ფესვებით. წყალი და წვიმა რომ არ ყოფი-

ლიეო, მცენარეები გახმებოდნენ, ჩვენი ბაღიც გახმებოდა; ბალახიც გაუვითლდებოდა და გახმებოდა.

ლევანი დამშვიდდა, გაერთო სათამაშოებში და ადარ იყო მოწყენილი.

ერთ დილას მზის სხივი ჰირდაპირ ლევანის ლოგინს დაეცა. ლევანს გამოეღვიძა, გაახილა თვალები და ისევ დახუჭა. მზე მაგრად უნათებდა ჰირდაპირ თვალებში. ის საჩქაროდ ადგა, დაიბანა ჰირი, დალია ჩაი და გაიქცა თავის კვალთან. ხედავს,—იმისი კართოფილის ბუჩქი დგას ამწვანებული, თეთრი ყვავილებით შემკული.

ლევანმა შემოჭკრა ტაში და გაიქცა დედასთან, სასიხარულო ამბავის გადასაცემად.

— რა კარგია,—უთხრა დედამ,—მცენარე ყვავის. ახლა მალე ფესვებში კართოფილი გაუჩნდება. გაიარა კიდევ ცოტა ხანმა,—ლევანმა აიღო თავისი ნიჩაბი და დაუწყო ბუჩქს გარეშემო თხრა. ხედავს—ბუჩქის ფესვებში ჰატარა ბურთებია. მოწყვიტა ლევანმა ეს ბურთები, ჩაყარა კალათაში, მოიტანა საშხარეულოში; მხარეულმა მოუხარშა კართოფილი. მოეწონა ლევანს ქორფა კართოფილი კარაქით და მხიარულად დედამამასაც უმასპინძლდებოდა.

ეკ. ლორთქიფანიძე.



გამოცანები.

(წარმოდგენილი მღ. მ. კელენჯერიძის მიერ).

1. თეთრი ჩოსა მაცვია, წითელი ქუდი მხურავსა,
წითელ მზეს ვევლები, ვეგებები წვიმასა.

2. დათვი სჭამდა, ხლოფინობდა,
მასკვინჩალა ხელს უწყობდა.



ჩქარა-გამოსათქმელი

აგერ მოდის შავი კაცი, შავ-ჩოხ-შავ-ბაჭიჭ-კვარაჭინიანი;
გავიქცევი, დავეწევი, მეც გაშავ-ჩოხ-ბაჭიჭ-კვარაჭინიანდები!



რებუსი.



მ ’ ” ” ს

”

ც , ’ უ ”

კ

ნ ”

მე-15 №-ში მოთავსებულ სახუმარო გამოცანას, გამოცანების და რებუსის ალნა:

1. სამი ვაშლი შუაზე გაიჭრას და ორიც სამ-სამ ნაწილად.
2. ცეცხლი.— 3. მარწყვი.

რებუსების ალნა.

1. კამბეჩი შეაჭდა ნიკორა, ვაქებდ[illegible]
2. აქლემი კუზიანია.

[illegible] ბიბლიოთეკა

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის

გაზეთი

„თემი“

წელიწადი მეორე

წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—**2** მან. **50** კ., ნახევარი. წლით—**1** მან. **25** კ., ერთი თვით—**25** კ.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая ул. № 6., Редакція газеты „**ТЕМИ**“.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁄ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკისიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., კოლოგინ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან და მარიამ უაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კ. სოფილ ნაკაშიძესთან და ტროფიმ იასარიძესთან. **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში ⁄ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო ბაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელდიანშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე კომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**